№ 280

ოთხშაბათი, 29 დეკემბერი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 280

ოთხშაბათი, 29 დეკემბერი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ამ ნომერში ექვსი გვერდია.

**პეტრე, ალექსი, დავით, სოფიო, მაშო, თეკლსი** და **ანნა ივანეს ძენი** და **ასულნი მაჭავარიანნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას თვიანთის მამის სტატსკი სოვეტნიკის

## ივანე დავითის ძის მაჭავარიანისას

და სიხოვენ მობრძანდნენ ქუთაისს, 29 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზედ, ტფილისის ქუჩა, საკუთარ სახლში. მიცვალებული ამ დღეს იქმნება დასაფლავებული. (1—219—1)

**მაგდან გრიგოლის ასული გაბაშვილისა** და **ძე მისი ლევან** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—საყვარელის მეუღლის, ხოლო მეორე—ძვირფასის მამის

## პავლე პეტრეს ძის გაბაშვილისას.

პანაშვიდი გარდახდილი იქმნება საკუთარ სახლში, პანასკევიჩის ქუჩაზედ № 26, შუადღის 12 საათზედ და საღამოს 6 საათზე. მიცვალებულს წაასვენებენ წმინდა სამების ეკკლესიაში დეკემბრის 30, დილის 10 საათზე, ხოლო იქიდგან საკუთარს მამულში საბურთალოში დასასაფლავებლად. (1—217—1)

პარასკევს, 31 დეკემბერს, მეორმოცე დღეს გარდაცვალებისას ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტის

## გრიგოლ ნიკოლოოზის ძის მუედლოვისას

გარდახდილი იქმნება წირვა და პანაშვიდი ტფილისს წმ. მამა დავითის ეკკლესიაში, ხოლო განჯას—სობოროში, რასაც მამა და დედა განსვენებულისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. (1—233—1)

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 30 დეკემბერს,

ბენეფისი კ. დ. ყიფიანისა

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## და-ძმა

დრამა 5 მოქმ., ვ. გუნიასი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელი, გარელი, და სხვ. ბბ. ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, გედევანოვი, შათირიშვილი, აღამიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე.

კვირას, 2 იანვარს საიუბილეო წარმოდგენაა

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ვ. ვ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. კ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ნ. ზ. უშიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**გ. ლ. მარკევიჩი**—12½—1½ სადოსტაქრო.

**ი. დ. გეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

6 იანვარს 1900 წლს, ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში გამართული იქმნება

## ბალი

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ.

ბილეთების ფასი 2 მ. 10 კ.

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

ქალებთათვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის, სამხედრო წოდების კაცთათვის საპარადო ტანისამოსი, დანარჩენებისათვის ფრაკი და ნაციონალური ტანისამოსი.

ბილეთები ისყიდება „კრუჟოკის“ შვეიცართან.

29 ამა დეკემბრიდგან დაიწყობა

## გამოფენა

სურათებისა მხატვარის ა. ჭედვაჯიანისა სამხედრო საისტორიო მუზეუმში. შესვლის ფასი ეღირება 20 კაპ. ბავშვები, მოსწავლენი და ჯარის-კაცნი იხდიან 10 კაპ. გამოფენა იქმნება გაღებული დილის 10 საათიდამ საღამოს 5 საათამდის ყოველ-დღე. (1—232—1)

## ახალი ამბავი

*** **მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ,** შეიტყო-რა, რომ ახალქალაქის მაზრაში მიწის-ძვრისაგან დანგრეულ სოფლების მკვიდრნი დარჩნენ უთავშესაფროდ და უსაზრდოოდ, უმაღლესად კეთილ ინება და დაზარალებულთა პირველ დასაწყისს შემწეობის აღმოსაჩენად 50,000 მან. შეწირა.

*** როგორც გაზეთი „კავ.“ გადმოგვცემს, მომავალის წლის იანვრის ნახევარში კავკასიის მთავარმართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი სამსახურის საქმეებისა გამო პეტერბურგში აპირებს წასვლას.

*** მისის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის ფლაბიანეს განკარგულებით, შობა დღეს, ტფილისის ყველა ეკკლესიაში ჩამოატარეს თეფში ფულის მოსაგროვებლად ახალქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. სხვათა შორის, წინამძღვრის მარკოზ ტყემალაძის შესაფერის სიტყვის წარმოთქმის შემდეგ ჩამოატარეს თეფში წირვის დროს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაშიაც და მოგროვდა 27 მ. და 7 კ., რომელიც მაშინვე გაიგზავნა დანიშნულებისამებრ.

*** 27 დეკემბერს ტფილისის გუბერნატორის სადგომში მოხდა იმ კომიტეტის სხდომა, რომელიც შესდგა გუბერნატორის თავმჯდომარეობით მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის შემწეობის აღმოსაჩენად. კომიტეტის წევრებათ მოწვეულნი იყვნენ: ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი, მისის იმპ. უდ. კარის კამერგერი თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკი, ქალაქის მოურავი გ. გ. ევანგულოვი, სამხედრო-სამკურნალო ოლქის ინსპექტორი ი. ი. მალინინი, ვიცე-გუბერნატორი კ. კ. სტეფანოვიჩი, ა. ი. მანთაშოვი, წარმომადგენელნი ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა—ა. ს. კორღანოვი, ტფილისის საკომერციო ბანკისა კ. მ. ალიხანოვი, წარმომადგენელნი ადგილობრივის ჟურნალ-გაზეთებისა: გაზ. „კავკასის“ ვ. ლ. ველიჩკო, „ივერიისა“ თავ. ი. გ. ჭავჭავაძე და „ტფ. ფურც“-ისა—ი. გ. ხაჩატუროვი. გუბერნატორმა კრების დაწყებისას გააცნო დამსწრეთ ქ. ახალქალაქში არსებულ დახმარების წეს-რიგი და წინადადება მისცა კომიტეტს: გამოარკვიეთ, როგორი უნდა იყოს კომიტეტის მოქმედება, აირჩიეთ ხაზინადარი და მდივანიო. კომიტეტის წევრთ ერთხმად მოიწონეს ახალქალაქში არსებულ კომიტეტის დახმარების წეს-რიგი, განიხილეს სამკურნალო დახმარების გაფართოების საქმე და აირჩიეს: ხაზინადრად ა. ი. მანთაშევი, ხოლო მდივნად ე. ი. ლუცენკო. ამასთან კომიტეტმა მოისმინა ბაქოს სომეხთა განცხადება ახალქალაქში დაზარალებულთა ობლების დახმარების სურვილის შესახებ, თანაგრძნობით მიეგება ამ სურვილს და დაადგინა დაწვრილებით განიხილოს ეს საქმე ობოლთა რიცხვის შესახებ ცნობების მოკრების შემდეგ.

თავმჯდომარემ განაცხადა: იმ დღემდე, რა დღესაც ახალქალაქიდგან წამოვედი, ყველა შემოწირულება ხელმწიფე იმპერატორის შემოწირულებითურთ უდრის 82 ათას მან. ფულსაო. 27 დეკემბერს კიდევ შემდეგი შემოწირულებანი გარდაეცა კომიტეტს: „წითელ ჯვარის“ საზოგადოების წარმომადგენელის მალინინისაგან—3,000 მან., თავ. ი. გ. ჭავჭავაძისაგან „ივერიის“ რედაქციის მიერ შეკრებილი 88 მან. და 77 კ. და ი. გ. ხაჩატუროვისაგან—„ტფ. ფ.“-ის რედაქციაში მიღებული ფული—3,790 მ. და 24 კაპ. კომიტეტის შემდეგი სხდომა დანიშნულია დღეისათვის.

*** კიევის სასულიერო აკადემიასთან არსებულ საეკკლესიო საარქეოლოგიო საზოგადოების დადგენილებით, ყოვლად სამღვდელო კირიონი, ალავერდის ეპისკოპოსი, ამ საზოგადოების ნამდვილ წევრად იქმნა არჩეული.

*** რადგან ბევრმა ებრაელმა შუამდგომლობა დაიწყო იმის შესახებ, რომ კავკასიაში გარდასახლების ნება მოგვეცესო, უმართებელესმა სენატმა განმარტა, რომ ებრაელებთ, რომლებიც იმ ადგილებში არიან დაბადებულნი, სადაც ებრაელთა საცხოვრებელი ბინაა, მით უფრო იმ ებრაელთ, რომელნიც ამ ადგილებში არიან მიწერილნი, უფლება არა აქვთ კავკასიაში ცხოვრებისა, თუ ეს უფლება კანონიერად არა აქვთ მოპოვებულიო.

*** კვირას, 26 დეკემბერს, ჟურნალ „ჯეჯილის“ ათის წლის ანგარიში იყო წაკითხული ქართულს სამკითხველოში. ამ ანგარიშის ამბავს დაწვრილებით ხვალ დავბეჭდავთ.

*** პეტერბურგიდგან „ტფ. ფ.“ აუწყებენ, რომ იმ კომისიის სხდომები, რომელიც ფინანსთა სამინისტროში შესდგა კახეთის რკინის გზის გაყვანის საქმის გამო, გადადებულ იქმნა იმ დრომდე, ვიდრე პეტერბურგში არ მიბრძანდება კავკასიის მთავარმართებელი.

*** თიონეთიდგან დეპეშით გვატყობინებენ, რომ როგორც-კი იქ ფოსტას ახალქალაქის მაზრის მცხოვრებთა უბედურობის ამბავი მიუტანია, თიონეთის საზოგადოებას 111 მან. შეუკრებია, რომელიც გუბერნატორისათვის გამოუგზავნიათ; ადგილობრივ მოხელეთ 2 პროცენტის გადადება უკისრნიათ თავიანთის ჯამაგირიდგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. გლეხებს სურსათით დახმარება აღუთქვამთ.

*** დიღმის სოფლის საზოგადოების მამასახლისმა აცნობა ტფილისის მაზრის უფროსს, რომ აქ სოფლის მცხოვრებნი საკვების უქონლობის გამო დიდს გაჭირვებაში არიანო. წარსულ ზაფხულს სეტყვასა და საშინელ ქარებს ამ სოფლელთა ნათესი თითქმის სულ გაუნადგურებია. სოფლელნი იმდენად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილან, რომ საქონელსა და ნივთებს ნახევარ ფასადა ჰყიდიან თურმე ტფილისში. ჯერ-ჯერობით

115 სული შინაური საქონელი გაუყიდნიათ.

*** ს. ქურთა, (ქართლი). ამ ქამად აქეთ გაჩენილია ქურდობა, აქაურ თავადიშვილს ღამით მოჰპარეს ქვაბები და სხვა წვრილმანი ნივთები. ქურდები მეორე დღეს შეიპყრეს და ცხინვალის ბოქაულს ჩააბარეს.

*** პარასკევს, 24 დეკემბერს, ტფილისში ქალაქის იმ ნაწილში, სადაც გოგირდის წყაროებია, სულ-ახლა მოხდა მიწის ძვრა. მიწის-ძვრას არავითარი ვნება არ მოუტანია, რადგანაც მალიან სუსტი იყო.

სოფ. ხოვლე, (გორის მაზრა). 19 ქრისტეშობისთვეს აქ ძლიერი მიწისძვრა მოხდა. მიწა იძრა: ნაშუადღევის 2 საათს, $2^1/_2$ ს., $4^1/_2$ ს. და 9 საათზედ. მოხუცებულები ამბობენ, რომ ჯერ ამისთანა ძლიერი მიწის ძვრას არ მოესწრებიათო. ზოგან სახლის კედლები გაარღვია, ზოგან ძველი შენობები სულ დაანგრია, ზოგიერთ სოფელში მიწის-ძვრამ დიდი ზარალი მისცა მცხოვრებლებს.

*** სოფ. გოგაშენი, (ახალქალაქის მაზრა). 19 დეკემბერს, $12^1/_4$ საათზე, დედამიწა საშინლად იძრა აქ. ისე ძლიერი იყო ძვრა, რომ მთის კიდურებიდგან მოსქდა უზარ-მაზარი კლდეები და მტკვრისაკენ გრგვინვით დაექანა. ხალხი ტირილით და წივილ-კივილით გამორბოდა სახლებიდგან; ზოგნიც შიშისაგან სახლში გაშეშებული იდგა იმ დრომდე, ვიდრე გარედგან შესულებმა გონს არ მოიყვანეს. თუმცა მიწა ძლიერად იძრა, მაგრამ უბედურება არა მომხდარა, მხოლოდ მტკვრის ნაპირებზედ დაინგრა ფარეხები, და ზოგიც მთიდგან წამოსულმა კლდეებმა დაანგრია. შესამჩნევად დაზიანდა ადგილობრივი მღვდლის სახლი, რომელშიაც ცხოვრება თითქმის საშიშია. ხელმეორედ ოთხ საათზედ იძრა მიწა, მაგრამ შედარებით ნაკლებად. მესამეთ— $8^1/_4$ საათზედ იძრა, ესეც ნაკლებად, სამხრეთიდგან ჩრდილოეთისაკენ. 20-ს, დილის 5 საათზედ, კიდევ იძრა.

წლეულს აქეთ ზამთარი ადრე დაგ[illegible] აქეთ უყვანახველი არის გახშირებულა; ზარალი კი არა მოაქვს-რა.

მოუთმენლად მოველოდით სამრევლო-სამეკლესიო სკოლისათვის საკუთარი შენობის დამთავრებას ჩვენში. აი, დამთავრდა და ვაკურთხეთ კიდეც პირველს დეკემბერს. მასწავლებელი არა გვყავს ჯერ და ბავშვების სწავლება იკისრა დროებით ადგილობრივმა მღ. გ. კარბელაშვილმა.

*** დილის 4 საათზე 26 დეკემბერს გრიბოედოვის ქუჩის შესახვევში ფოსტის სადგურის პირდაპირ აბეტისოვის სახლებს გაუჩნდა ცეცხლი, ცეცხლის მქრობელ რაზმს მაშინ შეეტყო, როცა გაძლიერებული ცეცხლისაგან შუა ორი დუქანი გამოიწვა და ზემო სართულსაც მოედვა; ცეცხლის გაჩენის მიზეზი ჯერ არ იციან.

---

**შეცდომის გასწორება:** გაზ. „ივერიის“ შობის მე-279 №-ში დაბეჭდილია წერილი შემდეგის სათაურით: „ქართული მწერლობა პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ“, უნდა იყოს: „ქართული მრეწველობა პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ“.

## წერილები ახალქალაქის მაზრიდგან.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

### I.

დიდ ხანს არ დაავიწყდებათ ახალქალაქლებს 19 დეკემბრის დღე. ორ საათსა და 4 წუთს საშინელმა მიწის ძვრამ სრულიად დაანგრია რამდენიმე სოფელი ბარალეთის საზოგადოებისა და ნანგრევებ ქვეშ მოიტანა ხალხი და საქონელი. ძნელად თუ ვინმე გადარჩა ცოცხალი, ვინც ამ დროს სახლებში იყო. წარსულ კვირას ჯავახეთს დიდი ყინვები დაიჭირა, ღამღამობით სიცივე ოც-და-ხუთს გრადუს უწევდა. მთელი მაზრა ღრმა თოვლითაა მოცული, ზოგ ალაგას სიღრმე თოვლისა ორ არშინამდე აღის. ამის გამო ვინც გადარჩა სიკვდილს და გარეთ გამოასწრო, ან ვინც მიწის ძვრის დროს შემთხვევით კარზე იყო, ისინიც შიშისა და სიცივის წყალობით საშინლად დაზარალდნენ. ზოგს ხელ-ფეხი მოაძრა და ზოგიც, განსაკუთრებით ბავშვობა და დედაკაცობა, უბინაობის გამო სიცივისაგან გაიფიჩხა.

პირველი სამწუხარო ამბები ახალქალაქიდგან მოვიდა ტფილისში 20 დეკემბერს. ცნობანი მეტის-მეტად გამოურკვეველი იყო და მკაფიოდ ვერას აღნიშნავდა, რადგან გზა-კვალი დიდის თოვლის წყალობით თითქმის შეკრული იყო. ამას გარდა, შიშისაგან თავს ზარ-დაცემული ხალხი გარკვევით ვერას ამბობდა. შიში და გონების ღაბნევა უფრო ჰმატულობდა, რადგან იმავე 19 დეკემბერს რამდენჯერმე გამეორდა მიწის-ძვრა. თვით ქ. ახალქალაქში, სადა, მართალია, ბევრი შენობა შეირყა და დაირღვა, მაგრამ ხალხსა და საქონელს ზარალი არა მოსვლია-რა,— ხალხი ისე შეძრწუნდა, რომ ბევრმა ცოლშვილი სხვაგან გაისტუმრა. ბევრი ისეთიც აღმოჩნდა, რომელმაც ოჯახი სხვა გუბერნიაში გაგზავნა. ყველაზედ მეტად, რასაკვირველია, ქალები და ბავშვები აიტანა შიშმა. უმამაკაცოდ სახლებში ველარა დგებიან, იჯუჯგებიან ერთ რომელსამე ოთახში და ყოველს წამს მზად არიან გარედ გამოხტნენ თავის საშველად. რადგან მთელის კვირას განმავლობაში 19 დეკემბრიდგან დაწყებული დღევანდლამდე მიწის ძვრა ყოველ დღე ხდება, ამის გამო ადვილად წარმოიდგენს ადამიანი, რა ყოფაში უნდა იყვნენ ამ ჟამად ახალქალაქის მკვიდრნი.

უფრო გარკვეული და დაწვრილებითი ცნობანი მოვიდა ტფილისში 20 დეკემბერს საღამოს. მოსული ამბიდგან სჩანდა, რომ დანგრეულიყო და დაქცეულიყო ცხრა სოფლამდე, მაგრამ რამდენი სული ადამიანი, ან საქონელი დაიღუპა, მაინც არ იყო ნაჩვენები. ტევრა-სიცივე 25 გრადუსამდე იყო დაზიანებულ სოფლების მიდამოში, გზები შეკრული და მისვლა-მოსვლა დიდად გაძნელებული, რის გამოც დაწვრილებით ცნობების გამორკვევა ძნელდებოდა.

რაკი საქმის ვითარება ვერ გამოირკვა საკმარისად დეპეშების წყალობით და რადგანაც იქ თვით ახალქალაქში საკმარისი ძალა არ მოიპოვებოდა შემწეობის აღმოსაჩენად დაზარალებულთათვის, მთავარ-მართებელმა გადასწყვიტა გაგზავნოს ადგილობრივ ტფილისის გუბერნატორი პოლკოვნიკი სვეჩინი საჭირო ღონისძიების მისაღებად. საკმაო ფულის უქონლობა მეტად აძნელებდა საქმეს. მეტი ჯანი არ იყო, უნდა მიემართნათ სასოფლო-სამეურნეო თანხისათვის და ამ ფულით გაემართათ ხელი ცოცხლად გადარჩენილთათვის. სულ ბარალეთის სოფლის საზოგადოებას ამ დღემდე ჰქონდა შეგროვილი თანხა 50,000 მანეთი. აი, სწორედ ამ თანხიდან უნდა აგვეღო საჭირო ფული და იმითი აღმოგვეჩინა პირველი შემწეობა.—

მეორე დღეს სამის საათის მატარებლით გუბერნატორი გაემგზავრა ახალქალაქისაკენ. გუბერნატორს თან ახლდნენ: ტფილისის გუბერნიის საპოლიციო დარაჯთა ინსპექტორი როტმისტრი ვ. ზ. ალტუხოვი, ქვედა ნოვგოროდიელთა პოლკის როტმისტრი ს. ი. იავნინი, მდივანი საგლეხო საკრებულოსი ალ. თ. ყიფშიძე, განსაკუთრებული მოხელე პოდესაული ე. ი. ლუცენკო და ფერშალი ჯიჯანაშვილი.

გზაში გორის მაზრის უფროსმა მოახსენა გუბერნატორს, რომ მაზრა არ დაზარალებულა მიწის ძვრისაგანაო, მხოლოდ დაბა ბორჯომში გასკდა რამდენიმე სახლიო და ის შენობა, სადაც მოთავსებულია ბოქაულის კანცელარიაო. ბორჯომს ცოტას ხნით შეისვენა გუბერნატორმა ბორჯომის მამულის გამგეს ა. გ. არდასენოვის ბინაზედ. აქვე წარმოუდგინეს გუბერნატორს პირველი შეწირულება 146 მან., შეგროვილი ბოქაულის პორუჩიკის ა. გ. ბალაბანსკის და არდასენოვის მიერ. ეს შემოწირულება ცხადად ჰმოწმობდა, რომ უბედურებას გადარჩენილი ხალხი, რაკი შეიტყობდა,—რა მწუხარება მიაყენა ულმობელმა ბედმა და ბუნებამ მის მოძმეს, ხელს გაანძრევდა მის საშველად და არას დაიშურებდა სევდა-ვაების გასაქარვებლად.

შუაღამე მოტანებული იყო, როცა გზას გავუდექით. რადგან ხეობაში სიცივე თხუთმეტს გრადუსამდე იყო, თბილები ჩავიცვით ტანსა და ისე წავედით. სადგურ „Страшный Окопъ“-ში შევიტყეთ საერო სკოლების ინსპექტორის პერევოზნიკოვისაგან, რომ მიწის ძვრისაგან დაღუპულა 600 სული. ეს პირველი სამწუხარო ამბავი იყო, საიდგანაც ვცანით, რა დიდი უბედურება სწვევია ბედკრულ ჯავახეთს.

ღამის პირველი საათი იქნებოდა, აწყურს რომ მივედით. რადგან ახალქალაქში არ გვეგულებოდა საკმარისი რიცხვი ექიმ-ფერშალთა, ამიტომ გუბერნატორმა გადასწყვიტა თან წამოიყვანოს აქაურის ქსენონის მკურნალი ივ. ბ. ბარამიშვილი ფერშალ გ. შიუკაშვილითურთ. თავის ფეხით მობრძანდა გუბერნატორი მკურნალის სახლთან და გააღვიძა, აუხსნა საქმის ვითარება და სთხოვა დაუყოვნებლივ მომზადებულიყო წამოსასვლელად ახალქალაქს. ნახევარ საათის შემდეგ ბარამიშვილი ფერშლითურთ მზად იყო და გამოემგზავრა ჩვენთან. რაღა თქმა უნდა, მკურნალმა თან წამოიღო წამლები და დასახიჩრებულთათვის შესახვევი მასალა. აწყურშივე ბოქაულმა ი. ე. გაძრეკელმა მოახსენა გუბერნატორს, რომ დახოცილთა რიცხვი ათასამდეაო.

თან და თან, რაც წინ მივდიოდით, უფრო და უფრო სამწუხარო ამბებს ვისმენდით და გული გვიწუხდებოდა. მომავალის საშინელ სურათის ნახვა, დახოცილთა და დასახიჩრებულთა ხილვა, უმწეოდ დარჩენილთა ბავშვთა და დედაკაცთა ყურება ტანში ჟრუანტელსა გვგვრიდა. მაგარის ნერვების პატრონი უნდა იყოს ადამიანი, რომ ადვილად აიტანოს ის, რაც ჩვენა ვნახეთ მეორე და მესამე დღეს...

ღამის სამი საათი იქნებოდა, ახალციხეს რომ მივედით.

ა. ყ—ძე

---

## მიწის ძვრის ამბები

სოფ. ლაშე (შორაპნის მაზრა). 19 დეკემბერს, ნაშუადღევის ორი საათის 5 წუთზედ აქ და თითქმის მთელს იმერეთში იყო საშინელი მიწის ძვრა, რომეც თითქმის ერთს წუთს გასტანა. მიწა სამ გზით შეინძრა: პირველად დასავლეთიდგან აღმოსავლეთისაკენ, მეორეთ—აღმოსავლეთიდგან დასავლეთისაკენ და მესამეთ დასავლეთიდგან აღმოსავლეთისაკენ. პირველი ორი ძვრა გარეთ მყოფ ადამიანისათვის თითქმის შეუმჩნეველი იყო, ხოლო მესამე შესამჩნევი და შესამჩნევლიც. უეცრივ შეიქმნა თავის-თავად ეკკლესიის ზარების რეკა, ფანჯრების რახუნ-რუხუნი, კედლების ჭრიალი, საქონლის ბღავილი და რაღაც გაუგებარი და გულის შემზარავი ხმაურობა. ყველა გარეთ გამორბოდა და მინდვრისაკენ ეშურებოდა. სოფელში ისეთი ხმაურობა ასტყდა, რომ თითქოს ომიანობის დროაო, სოფელს მტერი შემოესევაო და ხალხი მთაში გახიზვნას აპირებსო. შეჩერდა-რა მიწის ძვრა, ხალხი ჯერ კიდევ გონს არ მოსულიყო, რომ ერთი მეორეს გასძახოდნენ ამ საოცარი მოვლენის ამბავს. ბევრს ქვითკირის სახლი თავზედ დაენგრა, ბევრს მიწაში ღვინიანი ჭურები გაუსკდა, ბუხრების საკვამურები თითქმის არც ერთს სახლს აღარ შერჩენია. როგორც ისმის, ბევრგან ეკკლესიებიც დამსკდარა, და ვინ ჩამოსთვლის, სად რა ზარალი არ მომხდარა. დაბა ზესტაფონში რკინის გზის სადგურის მახლობლად სავაჭრო მოედანზედ აუარებელი სოფლიდგან შემოსული, ხალხი იყო და ყველა თავის სავაჭროს უჯდა გვერდით. მიწის ძვრის დროს, უეცრივ შეიქმნა იქვე გედევან ჩუბინიძის ორ სართულიანი სახლის ფანჯრების ჭრიალი. ხალხს ეგონა სახლი ინგრევაო და მოჰკურცხლეს ქვემოთკენ; ვინ ვის ასწრებდა, გაგება არ იყო; მიატოვეს ყოველისფერი: ვინ ფქვილი, ვინ ღვინო, ქათამი, ბატი, ინდაური, გოჭი, ხილი და სხვ. მოედანი უცებ დაცარიელდა. როდესაც ხალხმა გაიგო, თუ რაში იყო საქმე, დაბრუნდნენ მოედანზედ, მაგრამ ნახევარსაც აღარ მიუგნია თავის საქონლისათვის, ანუ ვინ სად რა მიატოვა, აღარ იცოდნენ, შეშინებულ ხალხს დიდხანს აღარ დაუყოვნებია და შიშით აკანკალებული სახლისაკენ გზას გაუდგა.

ამ მოვლენამ ცრუ-მორწმუნეთა ფანტაზიას გზა გაუხსნა; ეხლა ყველგან გაიძახიან სოფლებში: საუკუნე თავდება, და ან მეორედ მოსვლა უნდა იქმნეს და ან ქვეყნები უნდა ჩაიქცესო.

აქეთ თუმცა თოვლი აღარსადა სჩანს, მაგრამ სიცივემ პირუტყვი ძლიერ შეაწუხა, წყლის დასალევადაც ველარ გამოჰყავთ გარეთ და ამასთან ხათაბალაც ის არის, რომ ადრე დამდგარმა ზამთარმა ღამის საქონლის საკვები გამოგვილია და რა გვეშველება, აღარ ვიცით.

გრ. აბაშიძე (ლაშელი)

---

## შემოწირულება

„ივერიის“ რედაქციამ მიიღო ახალ-ქალაქის მაზრაში მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ:

აბელ კალატოზიშვილისაგან—10 მ., ნიკ. ბესარიონის-ძის ღოღობერიძისაგან—10 მანეთი, ვასილ ზაქარიასძე ბოკოლიშვილისაგან—1 მან., დათიკო ბეგიჯანოვისაგან—1 მან., კნ. ნინო სვიმონის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისაგან—1 მან., თომა ჯანყარაშვილისაგან—19 მან. და 15 კაპ. ეს ფული ჯანყარაშვილს ნაცნობებს შორის მოუგროვებია. აი მათი სიაც: შაქრო მხლინოვს შეუწირავს—5 მან., თომა ჯანყარაშვილს—3 მ., ვასო ჯანყარაშვილს—2 მ., მარმარაშვილს—3 მან., გიორგი ზუკაკოვს—2 მ., იოსებ ალასაროვს—1 მ., ნიკ. არუთინოვს—1 მ., დავით შ.რმანს—1 მ., მიხეილ მჭედლიშვილს—25 კაპ., ივანე ალამოვს—50 კაპ., მიკირტიჩ პაპიკიანც—20 კაპ., არტემ ტარასკანოვს—20 კაპ.

გ. ბაქრაძისაგან—15 მან. 50 კ., ნაცნობებს შორის შეკრებილი. შემომწირველთა სია:

გიორგი ბაქრაძე—1 მ., ელისაბედ ბასილაშვილი—1 მ. ეკატერინე ბაქრაძისა—1 მ., ოლღა ბასილაშვილი—1 მ. დ. ზ.—1 მ., ანნა გუნდიევისა—1 მ., ელისაბედ კობახიძე—1 მან., აბრამ თუშიშვილი—50 კ., ანდრია თუშიშვილი—1 მ., პავლე ყუშიტაშვილი 50 კ., ნატო თოთიბაძისა—1 მ., ალექსანდრე ფედოტოვი—50 კ., ოლღა კარახანოვისა—50 კ., მაშო მარტიროზოვი—1 მ., უცნობისაგან—2 მ., ეკატერინე განკელოვი—1 მ., მაშო სარქისოვისა—50 კ., სპირიდონ ბასილაშვილი—1 მ.

---

## იროდი მეფე

(საშობაო მოთხრობა)

(დასასრული *)

### III

სჩანს არ აღასრულეს თავისი დაპირება და სხვა გზით წავიდნენ სამშობლოში მოგვები?! ვერა ყოფილან პატიოსანი ადამიანები!! მერე სად დაემალება ურიათა მეფე, სად წავიდა, ცაში ხომ ვერ აფრინდება, ზღვის სიღრმეში ხომ ვერ დაიმალება; ქვესკნელში ხომ არ გადიკარგება!! ყველგან მისწვდება მას ჩემი მარჯვენა... მაგრამ ასეთი შეურაცხება მეფისა განა შეიძლება?!... შეარცხვინათ ღმერთმა მოგვები!!. რა იქნებოდა შეეტყობინებინათ ჩემთვის იმ ყრმის ამბავი, რათა მეც ჩემებურად თაყვანი მეცა მისთვის! ან იქნება გაიძვერაობას მიმიხვდენ და შეებრალათ ახლად შობილი ვითომ-და მეფე ურიათა!!

ასე ჰლაპარაკობდა თავის თავად იროდი მეფე, რომელიც მოუთმენლად მოელოდა მოგვების დაბრუნებას ბეთლემიდგან იერუსალიმში და თან ბრაზი ერეოდა, სწყრებოდა, რისხდებოდა იმათზედ... მოგვები ამ დროს უკვე სამშობლოში იყვნენ და თავისს თანამემამულეებს უამბობდნენ საკვირველის ყრმის დაბადების ამბავს... ისინი ანგელოზის ჩაგონებით სხვა გზით წარვიდნენ თავისს სამშობლოში.

რამდენი დღეც გადიოდა, იროდის შიში და მწუხარება უძლიერდებოდა, დღე და ღამე არ ეძინა, მოსვენება არა ჰქონდა, ჰფიქრობდა, როგორ მოესპო სიცოცხლე ახლად-დაბადებულის ყრმისთვის, რომლის შესახებ ათასნაირი ხმა ვრცელდე-

*) იხ. „ივერია“ № 279.

ბოდა მთელს ურიასტანში, და ეს ხმა იროდის ყურამდისაც მიდიოდა...

— მაშ კარგი, თუ ასეა, მე ვიცი რასაც ვიზამ! ბრძანებას გავსცემ, რომ ბეთლემში და მის ახლო მდებარე ადგილებში დაჰხოცონ ვაჟები დაბადებიდგან ორ წლამდის, მოჰხოცონ, რომ ეგებ მათ შორის მოჰყვეს ურიათა მეფეც! მაგრამ ეს ხომ მეტისმეტია... სიმხეცეა... არა, ეს არ შეიძლება; რამდენი დედა მწარედ ატირდება; რამდენი უმანკო სისხლი დაიქცევა და სულ რისთვის? იმ ურიათა მეფისთვის!.. ოჰ, ეს მეფე ურიათა! სადა ხარ, სად იმალები?! ერთი შენი სისხლი დამალევინა, ერთი შენის ხორცით გამაძღო!! არა..... რის შებრალება, რა შებრალება!! ოღონდ ის მოკლულ იქმნას, ოღონდ მისი გული აღარ სცემდეს და მზადავარ ცოლშვილიც კი გავწირო!!! მაშ აღსრულდეს ჩემი ბრძანება!! სთქვა ეს იროდიმ და თავისს ერთგულს კარის კაცს გადასცა საიდუმლო ბეთლემისა და მის მიდამოთა ყრმების საშინელის გაჟლეტის ამბავი.... სწორედ ამ დროს იესოს მშობლები იოსები და მარიამი ეგვიპტეს მიახლოებულიყვნენ ყრმა იესოთურთ. როგორც კი ბეთლემს გასცილდნენ მოგვები, ანგელოზმა უფლისა გამოეცხადა იოსებს და რქვა მას: „აღსდეგ და წარიყვანე ყრმაჲ ეგე და დედაჲ მაგისი და ივლტოდე ეგვიპტედ და იყავ მუნ (იქ), ვიდრემდე გრქუა შენ, რამეთუ ეგულების იროდის ძიებად ყრმისა ეგე და წარწყმედად ეგე". იოსებმა აღასრულა ანგელოზის ბრძანება. იროდიმ-კი ამის შესახებ არა იცოდა-რა.

IV

მესამე დღეს ამის შემდეგ ცამ დილითვე მოიღუშა, სქელი ღრუბლები გადაიფარა, მზის შუქი გადიკარგა სადღაც და საშინელი ცივი ქარი ჰქროდა... ქარის ხმაურობა, მისი ზუზუნი ტირილის ხმასა ჰგავდა; აქა-იქ ხეებს ძირიანად ჰგლეჯდა, ბეთლემის და მის ახლო მდებარე ადგილთა მცხოვრებლები ჩვეულებრივად საქმობდნენ. ზოგი საქონელს უდგა, ზოგი შეშა ჰკრობდა, ზოგი ხელსაქმეს აკეთებდა, ზოგი საჭმელს ამზადებდა, ზოგი ბავშვს ძუძუს აწოვებდა, ზოგი აკვანს არწევდა და ზოგიც ხმით თავისს ნორჩს ყრმას ტკბილს ნანას დამღეროდა... უეცრად საზარი ხმა გაისმა... შეიარაღებული ჯარი ბეთლემს და მისს მიდამოებს შემოერტყა და ტირილ ვაებ-გამომხატველის ხმით საყვირს აბამაურებდა... გამოუთქმელმა შიშის ზარმა აიტანა მთელი ბეთლემი და მისი მიდამოები... ხალხმა არ იცოდა, ჯარის უცები შემოსევა რას ჰნიშნავდა, აქა იქ გაისმოდა ხმა: „არა გვეშინის-რა, რჯულის მადლმა. გვერჩიან?!"... შემკრთალს ხალხს გონება მთლად დაებნა და თავის უბრალო თავის დაცვის ღონეც-კი დაეკარგა... პირდაღებუ ხალხი ჯარისკენ გაიცქირებოდა და არ იცოდა რაექნა... აგერ უეცრად იშიშვლა ხმალი რამდენმამე ჯარის-კაცმა და შევარდა ერთის მცხოვრებლის სახლში, საიდგანაც გაისმა გულის გამგმირავი წივილ-კივილის ხმა. ეს ხმა იყო ხმა მშობელ დედისა, რომელსაც მხედრებმა მოუკლეს ერთად-ერთი [illegible] და შეუბრალებლად. ამ წივილ-კივილს მოჰყვა წივილ-კივილი სხვა სახლებშიაც, და ბოლოს მთელი ბეთლემი და მისი მიდამოები ბავშვების და მათის მშობლების ტირილმა, წივილ-კივილმა, ჟრიამულმა მოიცვა, და ყოველივე ეს ძლიერს ქარს შორს, ძლიერ შორს მიჰქონდა მთელის ქვეყნის საუწყებლადა....

მთელი არე-მარე ბავშვთა უმანკო სისხლის ტბებით აღივსო, რომელიც რუებივით სდიოდა ქუჩებზედ და იქვე ჩამომჩქეფარე ნაკადულებს ურთდებოდა... გამხეცებული სისხლით შესვრილნი მხედრები საშინელნი სანახავნი იყვნენ!!. აი იგერ საცოდავი დედა, რომელიც თვისს ყელ გამოჭრილ შვილთან ერთად ჰკვდება, თხრიალით ამოსდის მკერდიდგან სისხლი; მაგრამ მაინც მაგრად, უკანასკნელად იკრავს მომაკვდავი თვისს თავმოჭრილს შვილს გასისხლიანებულს მკერდში, და ღონე მიხდილი ქვაზედ სდებს თავსა და ესალმება წუთი სოფელსა... აი მეორე ადგილას დედა დასტირის თავისს ორს ვაჟს, თავის ორ გვრიტს, თავისს იმედსა და ნუგეშს, თმას იწეწს, იგლეჯს, თავ პირში ხელს იცემს, სწყევლის და ჰკრულავს მტარვალს იროდის. აი მესამე ადგილს დედა მამაცად იფარავს თავისს შვილს გამხეცებულ მხედრებისგან, თან ეხვეწება, ემუდარება: ნუ მოუსპობთ სიცოცხლეს ჩემს შვილს, მის მაგივრად მსხვერპლად ჩემი სიცოცხლე მიიღეთ, თვით მე მომკალით წამებით, ოღონდ შვილს ნურას ერჩითო... მაგრამ ვერ იხსნის ყრმას ვერც სიმამაცე, ვერც ტირილი დედისა!!

ამ დღეს გაჟლეტილ იქმნა ბეთლემს და მისს მიდამოებში ამ სახით თოთხმეტ ათასამდის ყრმა დაბადებიდგან ორს წლამდის. ამით აღსრულდა შემდეგი თქმულება იერემია წინასწარმეტყველისა: „ხმა რამას ისმა გოდებისა, და ტირილისა, და ტყებისა მრავალი. რაქილ ჰსტიროდა შვილთა თვისთა და არა უნდა ნუგეშის ცემის, რამეთუ არა არიან."

იროდი თითქოს გახარებული იყო ბავშვების ამ მხეცურის გაჟლეტით.. ეს-კია, რომ თავისს სიამოვნებას ხელოვნურად მაინც გამოსთქვამდა მიხვრა მოხვრასა და საუბარში... მოიშორა თავიდგან ურიათა მეფე და მასთან ერთად თოთხმეტი ათასი უმანკო ყრმა... დიდი ცოდვა ჩაიდინა; დიდი სივერაგე გამოიჩინა, მაგრამ ეს არაფერია მისთვის: ურიათა მეფე ცოცხალი აღარ არის და მას მოსვენებას აღარ უფრთხობს... იროდი ყოველს დღეს ამის შემდეგ უკან უკან მიდიოდა; ფერი დაეკარგა, თვალები ჩაუყვითლდა და თვალის ბუდეებში ჩაუძვრა... მაგრამ ამავე დროს მუცელი უსივდებოდა... სიმართლე უნდა სთქვას კაცმა, ურიათა მეფეს ის აღარც კი ახსენებდა, რადგან თავიდგან მოიშორა...

ერთს საღამოს მეფესთან შევიდა ერთი ვაჭარი ურია, რომელიც ეგვიპტიდგან იმავე დღეს დილით მოვიდა. ეს ურია მასთან დაახლოვებული იყო და სხვა-და-სხვა საჩუქრები მიართვა... მეფემ უამბო ურიათა მეფის შესახებ მთელი მოთხრობა და თანაც ბეთლემის საზარელი ამბავი მოიხსენია...

— სულ ერთიანად გავჟლიტე ყრმები ბეთლემს და მის მიდამოებში დაბადებიდგან ორს წლამდის და მათ შორის, ნურაფრის უკაცრავად, თქვენი მეფეც მოჰყვა... უთხრა მან ურიას...

— მაშ როგორღა გაიქცა ბეთლემიდგან...

— ვინა? ვინა?!. ვაიმე!

— მეფე! ერთი ებრაელი შემხვდა ბეთლემიდგან მიმავალი სწორედ ეგვიპტის ახლოს, თან ერთი ახალგაზრდა ქალი მისდევდა, რომელსაც ხელში ახლად დაბადებული შავგვრემანი ყრმა ეჭირა... მე მათ ებრაულად დაველაპარაკე, ებრაულადვე პასუხი მომცეს და ისიც მითხრეს, რომ ბეთლემიდგან მოდიოდნენ, რა მიზეზით, ეს კი არ უთქვამთ!

— ეგ რა სთქვი?!. — ვაი დალეუპულო გვირგვინო! დაიძახა იროდიმ და იქვე დაეცა გულ-წასული...

ძლივს მოაბრუნეს იროდი ძმრითა და სხვა სასუნებელ წამლებით, მაგრამ ამის შემდეგ მძიმე ავადმყოფი შეიქმნა... ფეხები და მუცლის შიგნეულობა დაუსივდა, ვეღარცა სჭამდა და ვეღარცა სვამდა...

ერთს ღამეს მან ცუდი სიზმარი ნახა. ერთ დიდს სისხლის ტბაში თავმოჭრილ ბავშვების გვამები სცურავდნენ; იროდი მაზედ დადიოდა, — ხან ერთს დაადგამდა ფეხს, ხან მეორეს... უეცრად ეს გვამები გაცოცხლდნენ, ანგელოზებად იქცნენ და ცისკენ სანატრელს სამოთხის ბაღში გაჰფრინდნენ. იროდიც მათ უკან დაედევნა და შემდეგი სურათი ნახა: ანგელოზებად ქცეული ბავშვები ერთის ოქროვანის ტახტის გარშემო დაჰფრინავდნენ და ტკბილის ხმით გაიმღეროდნენ. ტახტზედ ბრძანდებოდა ერთი ახალგაზრდა ყრმა, რომლის ფეხებიან ტახტს ჰქონდა შემდეგი წარწერა: „იესო, ძე დავითისა, მეფე ურიათა". იროდი შეკრთა და მოინდომა მასთან ახლოს მისვლა, მაგრამ ანგელოზად ქცეულმა ბავშვებმა არ მიუშვეს, დასცეს ყიჟინა და გადმოაგდეს ცის სიმაღლიდგან... იროდი ყოველ უწმინდურობით სავსე ორმოში ჩავარდა და იქ იხრჩობოდა...

გამოეღვიძა იროდის და ცუდად იგრძნო თავი... თან-და-თან სისუსტე მოერია, დასივებული ფეხები დაუსკდა და მუცელი გაერღვა, — წყალი და ბალღამი გადმოვიდა დამსკდარ ადგილებიდგან; მუცლიდგან შეკუმშულმა დამპალმა წელებმა ამოჰყო თავი, მატლებითა და ჭიებით სავსემ. არავინ ეკარებოდა; მთელი სხეული საძაგლად აუსუნიანდა. იროდი ჰხედავდა ყოველსავე ამას და ენა ჩავარდნილი არას ამბობდა... მეხსიერება ჯერ არ დაჰკარგვოდა. ამ ყოფაში ნათლად გაახსენდა და თვალთ წინ წარმოუდგა მთელი სისაძაგლე თვისის ხანგრძლივის ცხოვრებისა, მთელი სიმხეცე თვისის უკანასკნელის ბრძანებისა და ალბად უღრმესის სინანულისა მისს ნიშნად ჩამომხმარსა და გაშტერებულს თვალებზედ ხან-და-ხან ორად-ორი ობოლი ცრემლი გამოსჩნდებოდა...

ასე შესაბრალისად გარდაიცვალა იგი!

ფარი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ „კავკას"-ში საყურადღებო მთავრობის განკარგულებაა დაბეჭდილი. ამ განკარგულების ძალით დაღესტნის ოლქში შეცვლილ იქმნა მართვა-გამგეობის წესი. დღემდის, როგორც უთუოდ მკითხველებსაც მოეხსენებათ, დაღესტანში სამხედრო სახალხო გამგეობა არსებობდა. ასეთი გამგეობა პირველად საჩეჩნეთოში იქმნა შემოღებული 1852 წელს მთავარმართებლად ნამყოფის თავად ბარიატინსკის მიერ. შემდეგ, 1859 წელს, შამილის დამორჩილების დროს დაღესტანშიაც შემოიღეს. მთელი დაღესტანი 1860 წელს თავადმა ბარიატინსკიმ ოთხ სამხედრო ნაწილად გაჰყო. თვითოეული ნაწილი შეიცავდა რამდენსამე ოლქსა და სახანოს, ხოლო ოლქი — რამდენსამე სანაიბოს. თვითოეულ ოლქში ყოველ გვარ საქმის და საჩივრის განსახილველად დაარსებულ იქმნა სახალხო სიტყვიერი სასამართლო, სადაც ამორჩეული კაცები საქმეებს ადათის მიხედვით არჩევდნენ.

ასეთმა წესმა გამგეობისამ, როგორც მთავრობის განკარგულებიდგან სჩანს, დიდი სარგებლობა მოუტანა დაღესტანს.

„შემდეგად ამ წესს გამგეობისას, ნათქვამია განკარგულებაში, დაღესტნის დამშვიდება და დაწყნარება მოჰყვა. ამას გარდა გაადვილებულ იქმნა სარჯის გაწერა და მოკრება, გზების გაყვანა და სისრულეში იქმნა მოყვანილი მთავრობის სხვა დაწყობილება. ორმოცმა წელმა განვლო დაღესტნის დამორჩილებიდგან და ამ ხნის განმავლობაში კავკასიის ამ კუთხეს შესამჩნევი წარმატება დაეტყო როგორც ქონებრივად, ისე სხვა მხრივაც. ამავე ხნის განმავლობაში გაჩნდა ახალი თაობა, რომელიც სულ სხვა გარემოებათა შორის გაიზარდა, ვიდრე მათი მამანი შამილის დროს. ბევრმა მათგანმა რუსულს სკოლებსა და უმაღლესს სასწავლებლებშიაც-კი მიიღეს განათლება. რკინის გზის გაყვანამ ქ. პეტროვსკამდე და მეორე გზის გაყვანამ დაღესტნის ერთ ნაწილზედ ამიერ-კავკასიის რკინის გზამდე გაართულა და გააძნელა დაღესტანში მართვა-გამგეობის საქმე. ადგილობრივმა და უმაღლესმა მთავრობამ კარგა ხანია სცნო, რომ საჭირო იყო მართვა-გამგეობის წესის შეცვლა, მაგრამ დღემდის სისრულეში ვერ იქმნა მოყვანილი".

დღეს-კი მთავრობამ შესაძლებლად სცნო ამ წესის შეცვლა და დაღესტანშიაც ისეთისავე მართვა-გამგეობის შემოღება, როგორიც კავკასიის იმ გუბერნიებსა და ოლქებში არსებობს, სადაც სამხედრო-სახალხო მმართველობაა. მთელი დაღესტანი, კავკასიის მთავარ-მართებლის ახალის განკარგულების ძალით, 43 სანაიბოს ნაცვლად გაყოფილ იქმნა 30 ნაწილად. თითოეულ ნაწილის უფროსს წელიწადში სულ 1400 მანეთი ჯამაგირი ექმნება. საქმის-მწარმოებელს — 400 მანეთი. ამას გარდა საკანცელარიო ხარჯად გადადებული იქმნება 200, ისე რომ მთელ ნაწილის მართვა-გამგეობის საქმეს დასჭირდება სულ 2,000 მანეთი.

## სასამართლოს მატიანე

თავ. არჩილ დავითის ძის ჭავჭავაძის საქმე.

7 და 8 დეკემბერს პეტერბურგის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე თავ. არჩილ დავითის ძის ჭავჭავაძისა, რომელიც ცნობილს ქველ-მოქმედს დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს ვასილ იაკობის ძეს იაკოვლევს უჩიოდა, რომ ჩემი ფული გაფლანგაო. აი გარემოება ამ საქმისა.

1898 წლის 25 სექტემბერს თავ. ა. დ. ჭავჭავაძემ საჩივარი შეიტანა ბრალმდებელთან, რომელშიაც სწერს, რომ იაკოვლევი ჩემის საქმეებისა და მამულების მოურავად იყო, 50,000 მან. გაჰფლანგა და გთხოვთ სამართალში მისცეთ, დასაჯოთ და ეს ფული მომისაჯოთო. 1897 წ. განვიზრახე დიდი მამული მეყიდნა ქ-ნ კრუზენშტერნისა განჯის გუბერნიაში და იაკოვლევსა ვსთხოვე წასულიყო და ენახა. იაკოვლევმა 9 თიბათვეს დაათვალიერა და მითხრა, რომ ის მამული ერთი სამად მეტი ჰღირს იმ ფასზედ, როგორც ქ-ნი კრუზენშტერნი აფასებსო. ამავე დროს იაკოვლევმა გაჰყიდა თურმე თავ. ჭავჭავაძის მამული ყვარელისა და სახლი ტფილისში, რომელ ფულიდგანაც 50,000 მან. კრუზენშტერნის ვალი გაისტუმრა თურმე. 1898 წლის 14 აგვისტოს იაკოვლევმა თავ. ჭავჭავაძეს ანგარიში წარუდგინა, რომლიდგანაცა სჩანს, რომ ხარჯი მეტი ყოფილა შემოსავალზედ 48,000 მან. მოსახსენებელია ისიც, რომ ამიერ-კავკასიაში ორჯელ წამოსვლის ხარჯად იაკოვლევს მიეღო 3,000 მან., სხვა-და-სხვა ხარჯისათვის 12,000 მან. და აგრეთვე თავ. ჭავჭავაძის 12,000 მან. თამასუქი. ამას გარდა, ცალკე სასამრჯელოც უნდა მიეღო თავისის შრომისათვის. ანგარიშის მიღებისა თანავე თავ. ჭავჭავაძემ მოსთხოვა თურმე იაკოვლევს, რომ დაუყოვნებლივ წარმოიდგინეთ ანგარიში დამამტკიცებელის საბუთებით ყვარელის მამულის [illegible]ისა, ტფილისის მამულის გაყიდვისა, გასანაღდებლად წაღებულ 12,000 მან. თამასუქისა და 16,000 მან. დააბრუნეთ, რომელიც სესხად წაიღეთო. იაკოვლევმა ახალი ანგარიში არ წარუდგინა თურმე, მხოლოდ მოსთხოვა, რომ დამისახელეთ, რა შეცდომაა და უსწორ-მასწორობა, ჩემ მიერ წარმოდგენილს ანგარიშშიო. ამის შემდეგ თავ. ჭავჭავაძემ სასამართლოს მიჰმართა.

სასამართლოს იაკოვლევმა წარუდგინა 19,500 მან. ანგარიში და დამამტკიცებელი საბუთები, თვისს მიერ შემოწმებული, და ბრალმდებელს სამი არზა მიართვა, რომელშიაცა სწერს, რომ კავკასიაში წასვლის ხარჯათ თავ. ჭავჭავაძისაგან არა მიმიღია-რა, ხოლო 12,000 მან. თამასუქი სესხის უზრუნველ-საყოფელად არის აღებულიო. თავ. ჭავჭავაძემ თავის მხრივ წარუდგინა ბრალმდებელს იაკოვლევის ბარათები, რომ მას მიეღო ერთხელ 3,000 მან. და მეორედ — 7,000 მან. და იუნკერის კანტორის ბარათი, რომლითაც მას იაკოვლევისათვის ტფილისში 5,000 მან. გაეგზავნა. იაკოვლევის ანგარიში ექსპერტებმა გასინჯეს და სცნეს, რომ შემოსავლის ჯამი 31,081 მან. არის შემცირებული, ხოლო ხარჯში 104,651 მან. წამატებულიო, ე. ი. დამატკიცებელ საბუთებთან შედარებით ანგარიშში 140,733 მან. განსხვავებაო. ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ანგარიში კეთილ-სინიდისიერად არ არის შედგენილი და შეცდომებია

შიგ იაკოვლევის სასარგებლოდ მარტო ხარჯში 36,853 მან.; იაკოვლევის მიერ სესხად აღებული 16,000 მან. რომ გამოვრიცხოთ, მაინც, სჩანს, რომ იმას თავ. ჭავჭავაძისა 53,934 მან. გაუფლანგავსო. ყოველ ამის გამო იაკოვლევი სამართალში იყო მიცემული და სასჯელთა დებულების მე-1681 მუხ. 1 ნაწ. აღნიშნული ბრალი ედებოდა.

სასამართლომ ჩვენება ჩამოართვა თავ. ჭავჭავაძეს, რამაც თითქმის მთელს დღეს გასტანა. ბრალდებული თვით ამტკიცებდა, რომ სისხლის სამართალს ჩემთან არა ვითარი საქმე არა აქვს, აქ გაფლანგული არაფერია, აქ უბრალო გაუგებრობაა ანგარიშში, რომელიც სამოქალაქო სასამართლოს განსახილველია. „მე ყოველთვის ვეუბნებოდი თავადს, რომ თუ სამოქალაქო სასამართლო დამაკისრებს რასმე თქვენს სასარგებლოდ,—სავსებით გარდავიხდი"-მეთქი. მოწმებმა ფრუკტოვმა და უშაკოვმა განაცხადეს, რომ იაკოვლევი ცნობილი ქველ-მოქმედია, აღმშენებელი ეკკლესიებისა. მან თავისის ქველ-მოქმედებით დაიმსახურა ყველა ორდენები და სტანისლავას პირველ ხარისხის ორდენიც-კიო.

ნაფიცმა მსაჯულებმა ღამის სამს საათზედ საბრალმდებლო განაჩენი გამოაცხადეს და სასამართლომ დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს იაკოვლევს გარდაუწყვიტა ყოველის განსაკუთრებულ პირად და წოდებრივ უფლებათა და უპირატესობათა ჩამორთმევა და ტობოლსკის გუბერნიაში გაგზავნა საცხოვრებლად. ამასთანავე სასამართლომ თავ. ა. დ. ჭავჭავაძეს მიუსაჯა ბრალდებულისაგან 50,000 მან.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 დეკემბერი

**ყაზანი.** საგუბერნიო საერობო კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე ყაზანში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგ." „სტანდარდ"-ს აუწყებენ კაპშტადიდგან 22 დეკემბერს (3 იანვარს): „როგორც ორანჟეს რესპუბლიკიდან მოსულ ამბებიდგანა სჩანს, პრეზიდენტმა შტეინმა გამოსცა პროკლამაცია, რომელშიაც სწერია, რომ ყოველი თეთრ-კანიანი რესპუბლიკაში მცხოვრები ცნობილ უნდა იქმნას სრულ უფლებათა მქონე მოქალაქედ და ვალდებულია იარაღით ხელში დაიცვას რესპუბლიკაო".

**ვაშინგტონი.** „რეიტ. სააგ." დემოკრატმა კვერლსმა შეიტანა წინადადება წარმომადგენელთა პალატაში შესახებ იმისა, რომ გამოეცხადოს სამხრეთ-აფრიკის ორივე რესპუბლიკას თანაგრძნობა კეთილშობილურ, პატრიოტულ და მამაცურ ბრძოლისათვის თავიანთ მმართველობის განადგურებისაგან დასაცველად.

**ტფილისი.** რაკი გავრცელდა უკანასკნელ ხანებში ხმა, რომ ავღანისტანში ემირის—აბდურახმან-ხანის ვითომ გარდაცვალების შემდეგ საქმეები აიწეწა და აგრეთვე ვითომ არეულობაა ინდოეთის ხალხთა შორისო, ჩვენმა სამხედრო უწყებამ, როგორც გავიგეთ, საცდელად ცოტაოდენი ჯარი გაგზავნა კავკასიიდგან კასპიის იქითა მხარეში. რაზმი გაგზავნილ იქმნა ტფილისიდგან ბაქომდე რკინის გზით, შემდეგ ბაქოდგან კრასნოვოდსკამდე გემით და შემდეგ რკინის გზით კუშკამდე, სადაც დეკემბრის 20 მივიდნენ. ამ გამოცდამ დაამტკიცა, რომ თუ საჭიროება მოითხოვს, კავკასიიდგან გაგზავნილი ჯარები 8 დღეზე კუშკში გაჩნდებიან.

**პეკინი.** „რეიტ. სააგ." პუნგინში (შანტუნგშია) მოკლულ იქმნა ინგლისის მისიონერი ბრუკსი მეამბოხეთა საზოგადოების წევრთაგან, რომელიც ცნობილია „ბოქსიორთა" საზოგადოებად.

**ლორენცო-მარკეზი.** „რეიტ. სააგ." ლამბომბოდგან და სვაცილანდიდგან გამოქცეულთ მოიტანეს ამბავი, რომ სვაცილანდის დედოფალი გარდაიცვალაო. ძალიან საეჭვოდ მიაჩნიათ ის ფაქტი, რომ მეფე ბანუსის სიკვდილის შემდეგ დედოფალი ასე მალე გარდაცვლილიყვეს. განსვენებულის მეფის ძმა, ნეკოკო, როგორც ერის უფროსი, შეუდგა სამეფოს მართვა-გამგეობას მინისტრად ნამყოფ ტეკუას უმვანდაკესთან ერთად. ხალხის ხოცვა-ჟლეტის დრო დადგა.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგ." ბრძანებაა გაცემული, მილიციის 16 ბატალიონი შესდგესო.

**რომი.** „სტეფ. სააგენტო." გაზ. „Halia"-ში დასტამბულ ცნობებით, ამ მოკლე ხანში რომზედ გაუვლია ბურების სამს აფიცერს, რომელთაც აქ უყიდნიათ ხის მასალა და სცდილობდნენ იარაღისა და სასროლ მასალის შეძენას. გაზეთი დასძენს, რომ ნეაპოლსა და იტალიის სხვა შესამჩნევ ნავთ-სადგურებში ინგლისელები გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმ გემთ, რომელნიც სამხრეთ-აფრიკაში მიემგზავრებიანო.

**პარიჟი.** „ჰავასის სააგ." სხდომის განახლებისთანავე ფალიერმა წაიკითხა განაჩენი. ტრიბუნიდან რამდენიმე ხმა გაისმა: გაუმარჯოს დერულედს, გაუმარჯოს ლაშკარს!" კრება დახურულ იქმნა. გერენი, რომელიც დამნაშავედ იქმნა ცნობილი 127 ხმით, საფრანგეთში იქმნება დატუსაღებული; რაც შეეხება დერულედს, პალატამ დაადგინა შეერთება სასჯელთა, რომელიც მიუსაჯეს მას. ამბობენ, ვითომ ბიუფფეს სურვილი განეცხადებინოს ბრიუსელში გამგზავნეთო, ხოლო დერულედს—სან-სებასტიანშიო. ამბობენ, რომ დერულედსა და ბიუფფეს ამალამ ბელგიის საზღვარზე წაიყვანენო. გერენს მალე გაჰგზავნიან, უეჭველია, კლერვოში.

**ბელმონტი.** „რეიტ. სააგენტო". პოლკოვნიკი პილჩერი, სამხედრო მოსაზრებისა გამო, ვერ გამაგრდა დუგლასში: მან დასცალა ბანაკი და თან წაიყვანა ინგლისის ერთგულნი მცხოვრებნი.

**პრეტორია.** „რეიტ. სააგ." ბურების უმთავრეს ბანაკიდგან იუწყებიან, რომ ექსმა ცხენოსანმა მოახერხა ლედი-სმიტიდგან გაქცევაო. ჰფიქრობენ, რომ მათ შორის უნდა ყოფილიყვნენ ან პოლკოვნიკი როდსი, ან ექიმი ჯემსონი, და ან ორივენი ერთადო.

25 დეკემბერი

**რენსბურგი.** გათენებისას ბურებმა უეცრად იერიში მიიტანეს ინგლისის ჯარების მარცხენა ნაწილზე, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. ამის შემდეგ მათ დაიჭირეს ჩრდილოეთის მხრით მდებარე გორაკი, მაგრამ იქიდგანაც განდევნილ იქმნენ. ბურებს კიდევ უჭირავთ ის მთები, რომელნიც ქალაქს დაჰყურებენ. ინგლისელებმა ცოტა დაჰკარგეს, ბურებმა-კი, როგორც ისმის, ას კაცამდე; 20 კაცი ტყვედ არის წაყვანილი. კოლსბერგი ჯერ კიდევ არ არის დაკავებული ფრენჩის მიერ.

**პიტერმარიცბურგი.** ადგილობრივი მკვიდრნი შიმშილობისაგან შეწუხებულნი არიან; მათი ბრბო, 400 კაცისაგან შემდგარი, შევარდა ბელლურში და მოიტაცა 120 ტომარა ფქვილი.

**ბრიუსელი.** იუსტიციის მინისტრად ნამყოფის ლეჟენის თავმჯდომარეობით გუშინ შესდგა აქ იმ კომიტეტის პირველი სხდომა, რომელიც დაარსებულია ამერიკის პრეზიდენტის მაკ-კინლეისათვის პეტიციის გასაგზავნად. პეტიციაში პრეზიდენტს სთხოვენ ჩაერიოს ტრანსვაალისა და ინგლისის საქმეში მშვიდობიანობის ჩამოგდებისათვის. სხდომაზე ბევრი დეპუტატი და წარჩინებული კაცი იყო. ერთხმად მიღებულ იქმნა ადრესი, რომლითაც კრება აცხადებს ღრმა მწუხარებას ორ განათლებულ ერთა შორის ამტყდარ ომის გამო და სთხოვს ამერიკის შტატებს იკისრონ შუამდგომლობა ომის შეწყვეტის საქმეში.

**პარიჟი.** მატარებელი, რომელშიაც ისხდნენ დერულედი და ბიუფფე, გავიდა პარიჟიდგან ბელგიის საზღვრისაკენ დილის 5 საათზე. მატარებლის გასვლის დროს არავითარი ინციდენტი არ მომხდარა; მხოლოდ დერულედმა დაიყვირა: „სხვა რესპუბლიკა—გაუმარჯოს რესპუბლიკასო".

**ამსტერდამი.** „Nieuwe Rotterdamche Gourant"-მა დაბეჭდა შემდეგი დეპეშა სარწმუნო წყაროდგან მიღებული: „მიუხედავად უარყოფისა, ეჭვს გარეშეა, რომ ბაზუტოსებს, სვაზიებს და კაფრებს, რომელნიც სცხოვრებენ ტრანსვაალის ჩრდილოეთ-დასავლეთის საზღვარზე, მუდამ აქეზებენ ბურების წინააღმდეგ. ამნაირად წაქეზებულნი მკვიდრთა ბრბონი უკვე დაესხნენ თავს ევროპიელებს, გასწყვიტეს და ტყვედ წაიყვანეს ქალები და ბავშვები. ინგლისელები იჭერენ ყველა დეპეშებს, რომელნიც ამ გვარ ამბებს იუწყებიან.

**მეფკინგი.** ჯარმა დააპირა დღეს გაერღვია მტრის რაზმი, მაგრამ უკუქცეულ იქმნა ბურებისაგან. ინგლისელთ მოუკლეს 21 და დაუჭრეს 23 კაცი.

**პარიჟი.** გერენი გაჰგზავნეს კლერფოს საპყრობილეში, სადაც უნდა მოიხადოს თავისი სასჯელი გამგზავრების დროს არავითარი ინციდენტი არ მომხდარა.

**ლონდონი.** ოფიციალური დეპეშა ბადენ-პაუელლის მეფკინგიდგან: „14 დეკემბერს დილით თავს დავეცი მტრის ერთ სიმაგრეს სამის ზარბაზნით, ცხენოსანის ჯარის ორი რაზმით და სამორო მატარებლით. იერიში ძლიერი იყო, მაგრამ ყოველივე ცდა სიმაგრეში შესვლისათვის ამაო დარჩა. მე უკან დავიწიე; მომიკლეს 3 აფიცერი და ამდენივე დამიჭრეს ძალიან დავზარალდით.

26 დეკემბერი

**ლონდონი.** დღეს, დილის 9 საათზედ, უაიტისაგან ლედისმიტიდგან გამოგზავნილი დეპეშა იუწყება, რომ 23 დეკემბერს, დილის 4 საათზე, მტრის ძლიერმა ჯარმა იერიში მიიტანა ცეზარს-კამპზე, მაგრამ უკუქცეულ იქმნა. ბრძოლა არ შეწყვეტილა. რაკი ცეზარს-კამპი მდებარეობს ლედისმიტის სამხრეთ-დასავლეთით და წარმოადგენს უაიტის ერთ-ერთს უმთავრეს სიმაგრეს.

**ლისაბონი.** ოფიციოზური წერილით იუწყებიან, რომ ინგლისმა და გერმანიამ, შეთანხმდნენ რა წინადვე პორტუგალიის ახალ-შენთა ხელ-შეუხებლობასა და პორტუგალიის მიერ ახალშენის მფლობელობის კანონიერებაზე,—მისცეს წინადადება პორტუგალიას, ნივთიერი მდგომარეობის შესაცვლელად აიღოს სესხად ფული.

პორტუგალიამ უპასუხა, რომ ამგვარი სესხი მისთვის არ არის საჭირო. წერილში უმატებენ: „რამდენადაც ვიცით, არც ეხლა სჭირდება პორტუგალიის ვალის აღება."

**პარიჟი.** „ჟურნალი" ამბობს, რომ პაპმა მიანდო კარდინალ ვოგანის წინადადება მისცეს ინგლისს, რომ პაპი ჰკისრულობს შუამდგომლობას ინგლისსა და გერმანიას შორის და ეს გარემოება შეატყობინა ვილჰელმსაც.

**ფრერი.** 23 დეკემბერს ჩიველეიდამ გამოვიდა ძლიერი რაზმი დაზვერვად, თან ჰქონდათ ორი თხუთმეტ-გირვანქიანი ზარბაზანი. რაზმი შესდგებოდა ნატალის ყარაბინერთა მე-13-ტე გუსარის პოლკისა, მსროლელ ცხენოსანთა რაზმს, „კინგს გოიალის", დუბლინელ მსროლელთა სამხრეთ-აფრიკის ცხენოსანთა და ტარნეიკრზოფტელთა ცხენოსანთაგან. მიზნადა ჰქონდათ დაეზვერათ მტრის პოზიცია ილანგვანების სამხრეთით მდებარე გორაკებზე. არტილლერიამ ესროლა რამდენიმე ყუმბარა მტრის საფარს, მას მხარი დაუჭირა ჩიველედამ ნავთ-სადგურის ზარბაზნებმა, ბურები ორმოც გირვანქიან ზარბაზნების სროლას ილანგვანეზსკენ ვერ აახერხებდნენ. ბურებმა არ დასტოვეს თავიანთი პოზიციები. ინგლისელები დაბრუნდნენ ბანაკში.

**ლონდონი.** გუშინდელ გაზეთების სიტყვით, 24 დეკემბერს, დილით ინგლისელებმა დაუწყეს სროლა კოლსბერგის სიმაღლეებს და დაეცნენ კოლსბერგს დასავლეთის მხრით. ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა ინგლისის არტილლერია, ცხენოსანი და ქვეითა ჯარი.

**ბერლინი.** „Tag."-ს ატყობინებენ ბრიუსელიდან, რომ ბადენ-პაუელის რაზმი მეფკინგში მთლად განადგურებულია. ბურებმა დაიპყრეს მეფკინგთან ყველა უმთავრესი სიმაღლე.

**კაპშტადტი.** 25 დეკემბერი. რამდენიმე ჯარის-კაცთა ყოფა-ქცევამ მმართველების ყურადღება მიაქცია და რადგანაც ისინი საეჭვოდ იქცეოდნენ, ამიტომ დატუსაღებულ იქმნენ. ეს ჯარის კაცები ჰოლანდიელნი იყვნენ. გემ „მანილლადგან", რომელიც სიმსონის ნავთსადგურში სდგას, რამდენიმე რუსი გაქცეულა. გარშემოიდგან იტყობინებიან, რომ ბურებმა თავი დაანებეს ლედი-გრეის. აქ მოვიდა გემი ორის ბატალიონით.

**ლონდონი.** დურბანიდგან იტყობინებიან, რომ 24 დეკემბერს, ღამით, ბურებმა იერიში მიიტანეს ლედისმიტზე, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ; მეორე დღეს-კი დაუშინეს ქალაქს ზარბაზნები. ფრერის ბანაკიდგან შემდეგი დეპეშა მოვიდა: „განთიადიდან ბურებმა საშინელი სროლა ასტეხეს; ინგლისელებმა ლედისმიტიდგან პასუხი გასცეს. საზღვაო გემები ანგრევენ მტრის სიმაგრეს. ინგლისელთა მხრით ცოტაა მოკლული". კურუმანის ჯარი განუწყვეტელ სროლის შემდეგ დანებდა ბურებს: 108 კაცი და 12 აფიცერი ტყვედ არიან წაყვანილნი. 25 დეკემბერს ბულლერს მიუღია შემდეგი დეპეშა: „ბურებმა დაიწყეს ისევ ბრძოლა, მეტის-მეტად მავიწროებენ". ბულლერის ბანაკში ხმა გავარდა, ვითომც გენერალ უაიტს გაემარჯვნოს ბურებზე; ტყვედ წაყვანილი 400 ბურიო. ფრერიდგან დეპეშა მოვიდა, რომლითაც იტყობინებიან, რომ 25 დეკემბერს ჩიველეის ბანაკის ჯარები, ნაშუადღევს 1 საათზე, უეცრად გაუდგენ გზას.

**კალკუტა.** მთავრობას არავითარი ცნობა არ მოსვლია იმის შესახებ, ვითომ ავღანისტანში შეიცვალოს საქმეთა მდგომარეობა. უკანასკნელ ცნობებიდგან სჩანს, რომ იქ მშვიდობიანობა სუფევს.

**დურბანი.** გემი ჰერცოგი, რომელიც ეკუთვნის გერმანიის სავაჭრო საზოგადოებას, ინგლისელებმა შეიპყრეს და მოიყვანეს აქ.

27 დეკემბერი

**ლონდონი.** ოფიციალური დეპეშა ბულლერისა ფრერის ბანაკიდგან: „ნაშუადღევის 1-ლ საათზედ უაიტისაგან ამბავი მომივიდა, რომ დღეს დილის 11 საათზედ მტერს კვლავ იერიში მოაქვს სამხრეთიდგანაო; ნაშუადღევის 12 საათსა და 45 წუთზედ უაიტი იუწყება: „ახლა მტერი უკუქცეულია, მაგრამ მე მაინც გარს მარტყია მტრის მრავალი ჯარი, ახლად იერიშის მოტანა მოსალოდნელია."

**კაპშტადტი.** გენერალი ფრენჩი იუწყება, რომ საზოგადოდ საქმეთა ვითარება არ შეცვლილა, მხოლოდ 1-ლ სუფფოლკის რაზმს თვალსაჩინო უბედურება შეემთხვა: ამ რაზმის ოთხი როტა ღამით დაბალ სერისაკენ გაემართა, რომელიც ბანაკიდგან 1 მილის სიშორეზედ იმყოფება, და ბურებზედ იერიში მიიტანეს. პოდპოლკოვნიკმა უატსონმა ბრძანების მიცემა ვერ მოასწრო, უეცრად დაჭრილ იქმნა, რის გამო მისმა ჯარმა უკან დაიხია. ბრიტანიის ჯარის ერთ მეოთხედს გარს შემოერტყნენ ბურები და იარაღი დააყრევინეს. 70 კაცი (7 აფიცერი) დაატყვევეს.

**პრეტორია.** დეპეშა იუწყება, რომ ინგლისელნი იძულებული შეიქმნენ უკან დაწეულიყვნენ დორტრეხტიდგან. ამასთან დატოვებულ იქმნა 8 კაცი.

**ლონდონი.** მთავრობამ გამოაცხადა, რომ კიდევ შესდგება არტილლერიის 4 ბრიგადა.

**სენტ-ეტიენი.** ქვანახშირის მადნებში მუშაობა განახლდა ყველგან.

**ლონდონი.** როგორც გაზეთები სწერენ, ამას წინად სამხედრო უწყებას შეუტყვია, რომ ბურებს ინგლისიდგან იარაღსა და სურსათს უგზავნიან.

28 დეკემბერი

**ლონდონი.** უაიტი იუწყება ლედი-სმიტიდგან: გუშინ (14 დეკ.) დილით ბურები შეუდგნენ გარემოცვას, რომელიც უმთავრესად მიმართული იყო ცეზარე კამპის წინააღმდეგ, ვაგგონის სერზედ. მტრის ჯარი თავს დაესხა ჩვენებს დიდის სიმამაცით. რამდენიმე ჩვენი ადგილი სერზე ბურებმა სამჯერ აიღეს, მაგრამ სამივეჯერ უკუქცეულ იქმნენ. ჩვენის პოზიციის ერთი ადგილი მთელი დღე მტრის ხელში იმყოფებოდა, მაგრამ ბინდისას, ძლიერის წვიმის დროს, ჩვენმა ჯარმა განდევნა იგი. მტერი ყოველ მხრივ უკუქცეულ იქმნა დიდის ზარალით.

„Times"-ს დეპეშით აუწყებენ, რომ ... ფილკის რაზმის ზარალი უდრის 7 აფიცერსა და 39 ჯარის-კაცის მოკვლას, და ... ჯარის-კაცის დატუსაღებას.